

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
რუსისტიკის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

თინათინ წერეთელი

რუსული მებრძოლი დისკურსი
(გ.გ. მაიაგოგსკის შემოქმედების მაგალითზე)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაციას

მაცნე

თბილისი

2011

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რესისტიკის ინტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით გოცირიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1. ნატალია ბასილაძა
ფილოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2. მარინა არშიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2011 წლის 29.06.12 საათზე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის 13, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII კორპუსი, აუდიტორია 232

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი  ა. გულიჯანიშვილი

წინასიტყვაობა

თავისი განვითარების პროცესში ლინგვისტიკა მუდმივად მოიცავს სულ ახალ და ახალ მოსაზღვრე სფეროებს და რთავს მათ თავის ინტერესთა სფეროში, რითაც იგი მიმზიდველი ხდება არა მარტო ენათმეცნიერთათვის, არამედ ფილოლოგიის, პოლიტოლოგების, რიგორების, სოციოლოგებისა და ა.შ. თანდათან უფრო საინტერესო ხდება ტექსტის ლინგვისტიკა და დისკურს-ანალიზი. დისკურსი ტექსტს განიხილავს ექსტრალინგვისტური პრაგმატული, სოციოულტურული ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების ერთობლიობაში, მეტყველებას – კი როგორც მიზანმიმართულ სოციალურ ქმედებას, როგორც ადამიანთა ურთიერთობაში და მათი ცნობიერების მექანიზმებში (კოგნიტიურ პროცესებში) მონაწილე კომპონენტებს.

ნაშრომის აქტუალურობას განსაზღვრავს ზემოქმედებითი ტექსტების ეფექტურობა, რომელიც დღეისათვის იქნება დიდ მნიშვნელობას, ხოლო მხატვრული ტექსტების დისკურსიული შესაძლებლობების ტიპოლოგია ითხოვს განსაკუთრებულ ურადღებას. ამასთან დაკავშირებით, ვმაიაკოვსკის პოეზია კი, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ როგორც წმინდა პოეზიისა და აგიტაციური პოეზიისა მომენტები, ასევე პოეზიის კომბინირებული უანრებიც, წარმოადგენს თავისებურ საცდელ მოყდანს, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ დაკვირვებათა ვერიფიცირება ზემოქმედებითი ტექსტების ფუნქციონირების შესწავლის პროცესზე.

ზემოქმედების ეფექტურობას დიდად განსაზღვრავს ერთიანი კოდის არსებობა. ამ როლისათვის გამოიყენება ხალხური ზეპირმეტყველების წყაროები, ენის მიკრო ელემენტებისაგან შექმნილი „გაუშალაშინებელი თანამედროვე ქუჩური გამოთქმები“, მაიაკოვსკის ხატოვის სისტემის სიახლე მდგომარეობს სიტყვის მოქნილობაში და დამკვრელ ძალაში, ასიციაციების უფართოეს დიაპაზონში, ქალაქურ ატრიბუტიკასთან სიახლოვეში, ფანტასტიკისა და სინამდვილის, მატერიალურისა და აბსტრაქციის შეერთებაში, ლექსის რიტმული სტრუქტურის გაფართოებაში, ლირიკული გამონათქვამის სრულ თავისუფლებაში, წმინდა აბსტრაქციიდან მატერიალურის ილუზიის შექმნის უნარში. („ულია მუკა მოლა

перла. Крик торчком стоял из глотки“; „....тихо баражается в тине сердца глупая вобла воображения“).

ნაიაკოვსკი მოგვიწოდებდა „дать все права гражданства новому языку: выкрику – вместо напева, грохоту барабана – вместо колыбельной песни...“

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მაიაკოვსკის პოეზია პირველად იქნება განხილული დისკურსის თეორიის თვალსაზრისით, ანუ მოსაზღვრე დისკიდონათა (სოციოლოგია, ფიქტოლოგია, ლიტერატურის ფილოსოფია) დონეზე.

ნაშრომის სიახლე უკავშირდება არა მარტო განსახილველ მოვლენათა ტექსტლინგვისტურ ინტერპრეტაციას, არამედ პოეზიის ახლებურ განხილვასაც სამეტყველო ზემოქმედების თეორიის თვალსაზრისით.

ნაშრომის მიზანია განვსაზღვროთ კ.მაიაკოვსკის პოეზიის ტექსტლინგვისტური ბუნება დისკურსის თეორიის ასკექტში. ანიშნულმა მიზანმა განაპირობა ნაშრომის უფრო კერძო მიზნები:

- 1) კონცეპტების „დისკურსი“ და „ტექსტი“ გამიჯნა
- 2) დისკურსის შიდაუანრობრივი ტიპოლოგიისა და მხატვრული ტექსტის როგორც დისკურსის სპეციფიური ნაირსახეობის შესწავლა;
- 3) დისკურსის თეორიის თვალსაზრისით ტექსტის შეგვინის მიზანშეწონი-
- ლობისა და ეფექტურობის განმსაზღვრელი პირობებისა და კრიტერიუმების გამოვლენა;
- 4) განვიხილოთ სამეტყველო ზემოქმედების თეორია როგორც სინამდვილის ვარაციული ინტერპრეტაციის ენობრივი მექანიზმი.
- 5) რიგი უანრობრივი კომპონენტებითა და უუნქციონალურ-კომპოზიციური ტიპებით წარმოქმნილი მაიაკოვსკის დისკურსის როგორც ტიპოლოგიური მოლიანობის ენობრივ კანონზომიერებათა შესწავლა.
- 6) სამეტყველო უანრი „აგიტოეზიის“ ლინგვისტური ინგარიანგის მოდელის აგება.

ლინგვისტიკისთვის ღირებულია ტექსტლინგვისტური მიდგომა ბიფაქტურული შერეული ტექსტების მიმართ, ინფორმაციის თეორიისთვის აზრის გადანაწილების პრინციპები არაერ-

თგვაროვან საინფორმაციო ნაკადში; ფსიქოლინგვისტიკის სააგიტაციო ინფორმაციის აღქმისა და გააზრების პრობლემა და სოციალური ზემოქმედების განხორციელება ტექსტის სპეციალური ტიპების საშუალებით; ხელოგნებათ-მცოდნეობისთვის გრაფიკული მასალის ესთეტიური კუთხით შეფასება. გარდა ამისა ნაშრომის პრაქტიკული დირექტულება მდგომარეობს მისი შედეგების გამოყენების შესაძლებლობაში სპეციალურ სემინარებზე და დისკურსის თეორიის პრინციპების სწავლების პროცესში.

სადისერტაციო ნაშრომის შესაბალები ჩამოყალიბებულია კვლევის მიხები და ამოცანები, განსაზღვრულია ნაშრომის აქტუალურობა, მეცნიერული სიახლე, მეთოდი და მეთოდოლოგია, წარმოდგენილია დისკურსის პრობლემებზე არსებული ლინგვისტური კონცეფციების მოკლე მიმოხილვა.

სადისერტაციო ნაშრომის I თაგში „კონცეპტები – „დისკურსი“ და „ტექსტი“ ნაჩვენებია დისკურსის თეორიისა და მისი ანალიზის მეთოდების უშუალო საწყისები.

დისკურსის ანალიზი და ტექსტის ლინგვისტიკა ქმნიან ლინგვისტიკის მახლობელ, ზოგჯერ კი გაიგივებულ სფეროებს. თუმცა ჩჩ საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში თავს იჩენს მათი გამიჯვნის ტენდენცია, რომელიც გამომდინარეობს ცნებების „ტექსტი“ და „დისკურსი“ თანაბათანობითი დიფერენციაციიდან. ტექსტი ესმით, როგორც უპირატესად აბსტრაქტული, ფორმალური კონსტრუქცია, დისკურსი კი წარმოადგენს ამ კონსტრუქციის აქტუალიზაციის სხვადასხვა სახეებს განხილულით „მენტალური პროცესების თვალსაზრისითა და ექტრალინგვისტურ ფაქტორებთან დაკავშირებით“.

დისკურსისაკენ როგორც სამეტყველო-აზროვნებითი პოლიგონისაკენ შემობრუნება ერთობ სარისკო საქმეა, თუნდაც იმიტომ, რომ დისკურსის ცნება დღვემდე რჩება ძალზედ ამოუცნობ უცნობენად, რომელსაც არ გააჩნია აუცილებელი ტერმინოლოგიური გარკვეულობა. როგორც სამართლიანად შენიშვნას ე.ს. კუბრიაძოვა, „ჩვენ ძველებურად ძალზე შორსა ვართ დისკურსის ერთიანი და სრულყოფილი თეორიის შექმნისგან“. ამ ცნების განსაზღვრებისა და გაგების დიაპაზონი იმდენად ფართოა, რომ გიჩნდება ან მისი უაღრესი ფორმალურობისა (და თუნდაც ამორფულობის) შეგრძნე-

ბა, ან მისი ფუნქციონალური იგივეობისა სოსიურასეულ „მეტყველების“ ცნებასთან.

უფრო გვიანდელ ნაშრომებში კი ამგვარი გაიგივება იძენს ფსიქოლინგვისტურ აზრს: დისკურსი არის მიმდინარე სამეტყველო ქმედება. სხვათაშორის, მოცემულ ტერმინს ასეთი თვალშისაცემი არაერთმნიშვნელიანობა თავიდანვე ახასიათებდა, ფრანგულ ენაში.

6. ს. ავტომონოვას აზრით, რომელმაც თარგმნა მუჟკოს ნაწარმოებები (იგი სხვადისგან განსხვავებით, აქტიურად ნერგავდა მეცნიერებაში დისკურსის ცნებას), ტერმინი „დისკოურსე“ არ ექვემდებარება ერთმნიშვნელიან თარგმანს რუსულ ენაზე. არამაცრი ტერმინოლოგიური აზრით ის აღნიშვნას „მეტყველებასაც“ და „მსჯელობასაც“ – კი. როგორც სპეციალური ტერმინი ის აღნიშვნას „სიტყვა-ნიშანთა თანამიმდევრობითი შეთანხმებით გამოსახულ დანაწევრებულ აზროვნებით წარმოდგენებს“ (დ.შიფრინი) მაგრამ ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სხვა სახის გაუგებობას: რითი განსხვავდება დისკურსი ტექსტისაგან? ვინაიდან ერთმანეთთან თანამიმდევრულად დაკავშირებული გამონათქვამები სხვა არაუერია თუ არა ტექსტის ქრესტომათიული განსაზღვრება. მოცემული „ჩიხიდან“ თავის დაღწევა ნიშნავს ვიპოვოთ დისკურსისა და ტექსტის დიფერენციალური ნიშნები. ასეთ გამოიჯნავად გვევლინება პროცესისა და მისი შედეგის ოპოზიცია: დისკურსი სამეტყველო ურთიერთობის პროცესია, ტექსტი კი მისი პროდუქტი; პირები უკავშირდება დინამიკას, მეორე – სტატიკას. მიღებული ოპოზიცია შეიძლება ერთგვარ მხსნელად იქცეს დისკურსის თეორიისათვის. დისკურსი მისი ასეთი გაგებით იძენს თავის სპეციფიკურ ნიშნებს: ა) როგორც კომუნიკაციური მოვლენა არის ენობრივი ფორმის, ცოდნისა და კომუნიკაციურ-პრაგმატიული სიტუაციის ნაერთი; ბ) წარმოქმნის რა თავისებურ ფასეულ-აზრობრივ ერთობლიობას, დისკურსი გვევლინება როგორც ლინგვოპულტურული წარმონაქმნი; გ) სამეტყველო აქტებისა და ტექსტისაგან განსხვავებით (მისი ტრადიციული განმარტებით: გამონათქვამთა თანამიმდევრული ჯაჭვი), დისკურსი უნდა განვიხილოთ როგორც სოციალური მოდგაწეობა, რომლის ჩარჩოებშიც წამყვან როლს თამაშობენ ენობრივი პიროვნების შინაგანი სამყაროს სხვადასხვა ასპექტების თავის თავში შემკრები კოგნიტური წარმონაქმნები; დ) დისკურსი

როგორც „ცხოვრებაში ჩაძირული მეტყველება“ ან „ყოფით ასპექტში აღებული ტექსტი“ გარდატებს და ინტერპრეტირებას უკეთებს ენობრივ ცნობიერებაში შემოსულ ინფორმაციას და გარდაიქმნება თავისებურ აზრის წარმომქმნელ და სამყაროს შემომქმედ „მოწყობილობად“, კულტურის ეგზეგეტიკურ „ტექსტად“, „შესაძლო სამყაროს“ (საქმის შესაძლო ვითარების, მოვლენათა ვარიაციული განვითარების) მენტალურ ფრაგმენტად.

პირველი კრიტერიუმის თანახმად, თავისი მრავალპლანიანი სტრუქტურის წყალობით, რომლის სხვადასხვა დონეზეც ხდება კომუნიკაციური-პრაგმატული სიტუაციის ყველა მონაწილიდან მომდინარე ინფორმაციის კოგნიტიური დამუშავება, დისკურსი ხდება ნიშანთა წარმოქმნი ბაზა. ამასთან დაკავშირებით ასეთი დისკურსის აზრობრივი შინაარსი მნიშვნელოვნად ფართე და ღრმა, ვიდრე გამონათქვამთა სემანტიკა.

დისკურსის აზრისწარმომქმნელობითი და სამყაროსშემოქმედებითი უნარი განპირობებულია იმით, რომ მისი „ცხოვრებაში ჩაძირვა“ ხორციელდება, ძირითადად, მოვლენისეული შინაარსის ლინგვოკრეატიული გააზრების პროცესში. დისკურსის წიაღში ხდება არა მარტო მოვლენისეული, სოციო-კულტურული, კომუნიკაციურ-პრაგმატისტული და ენობრივი ინფორმაციის კოგნიტიურ-სინერგეტიკული დამუშავება, არამედ მისი ტრანსმიტაციაც განსაკუთრებულ ვირტუალურ სამყაროში ჩაძირვის დროს ერთ-ერთი შესაძლო სამყაროს მენტალური სტრუქტურის სემიოტიკური რეპრეზენტაციისათვის (დ.ვიტგენშტერინის, პ.სგაბალის, იური სტეპანოვის გაგებით). დისკურსის აზრობრივი კონსტიტუციურების სწორედ ასეთი დინგვოკრეატიული გარდაქმნების შედეგად წარმოქმნება სამყაროს სურათის ნაციონალურ-ენობრივი ხედვა. ეს შესაძლებელი ხდება იმიტომ, რომ ადამიანი (დისკურსიეული მოღვაწეობის სუბიექტი) ლინგვოკრეატიული აზროვნების პროცესში, თვითონ „იძირება“ განსაკუთრებულ მენტალურ სივრცეში, გადადის მის მიერვე დახატულ ვირტუალურ სამყაროში, რომელიც არსებობს რეალური ქრონოგიანის მიღმა (არა წრფივ, არამედ სივრცულ დროში). აქ მნიშვნელოვანია ინტერციონალურობის როლი დისკურსის აზრობრივ არანურებაში. ინტენციონალურობა უხილავი ძაფებით აკავშირებს დისკურსის ერთეული კონსტიტუტიურების ენობრივ და სა-

მეტყველო სემანტიკას, ანუ ახდენს მოსაუბრეთა და სიტყვის ფორმების კოორდინაციას მათ ჩანაფიქრებთან და კომუნიკაციურ მიზნებთან. ასეთი ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება ის აუცილებელი ენერგეტიკა, რომლის ზემოქმედების გამოც წარმოშობილი ნომინაციის ნიშანი ხდება კოგნიტიურ-დისკურსიულ „ქაბში“ ინტერაქტიულებული და „გადაღობილი“ სოციალურად მნიშვნელოვანი სამეტყველო აზრის გამოხატვის და კოდირების ერთ-ერთი საშუალება. ვინაიდან სამეტყველო ნაწარმოების ინტენციონალობა გვევლინება დისკურსული მექანიზმის მნიშვნელოვან რგოლად, აუცილებელია გავარკვიოთ, რას წარმოადგენენ შეტყობინების (დისკურსის) ავტორი და ადრესატი: ისინი არიან რეალური ადამიანები, დისკურსის იდეალური მონაწილეები თუ რადაც ა აბსტრაქცია? როგორც ჩანს შესაძლებელია სამივე შემთხვევა. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს დისკურსთან, რომელიც იქმნება ჩვეულებრივი ურთიერთობის დროს ონლინ-ის რეჟიმში, როცა სახეზეა ინფორმაციის კონკრეტული გამომგზავნი და მისი რეალური მიმღები. მეორე შემთხვევაში საუბარი შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული ტიპის დისკურსებზე (მართლაც, რელიგიური, პოლიტიკური და სარეკლამო დისკურსები) ქმნიან თავის იდეალურ ადრესანტებსა და ადრესატებს, რომლებიც განსხვავდებიან საკუთარი სამეტყველო აქტებით [სამეტყველო ქმედებებით], სამეტყველო ტაქტიკით, სამეტყველო სტრატეგიით, სამეტყველო ქცევით). და ბოლოს, მესამე შემთხვევაში ინფორმაციის გამგზავნა და მიმღებს გააჩნიათ მეაფიოდ გამოხატული სოციალური სტატუსი: ისინი გვევლინებიან დისკურსიული შინაარსის არა პირადული, არამედ გასაშუალოებული, თავისი ეთნოკულტურული საზოგადოებისათვის ტიპიური ჩანაფიქრების, შეფასებებისა და განმარტებების გამომხატველებად. ამგვარად, ექსპრესიული-გამომსახველობითი საშუალებების ლინგვო-სემოზისი ჩვეულებრივ ხორციელდება უსუბიქტო ბუნებრივი დისკურსის ბაზაზე, რომელიც მოიცავს გამონათქმებს, ტექსტებს, აგრეთვე სხვადასხვა სახის პრაგმალინგვისზე და სოციოკულტურულ კონტექსტებს. როგორც პ. ს. ერიო ამტკიცებს სამეტყველო აქტისგან განსხვავებით „თხრობაში, ასე რომ ვთქვათ, არ არის „პირი“. იმ დროს, როცა მეტყველება მთლიანად ჩართულია პირველი პირის, რომელიც ქმნის გამონათქმას, მეორე პირის, რომლისთვი-

საც გამიზნულია შეტყობინება და მესამე პირის ურთიერთობებში, რომელიც მართალია არ მონაწილეობს სამეტყველო აქტში, მაგრამ მაინც სახეზეა“. ამიტომ სამეტყველო საქმიანობის თეორიაში უკეთადებერი კონცენტრირებულია ცენტრალური ცნების „სუბიექტი ენაში“ ირგვლივ. ლინგვოპრაგმატიკაში აზრობრივი დისტრიბუცია, რომელიც განისაზღვრება რამდენადმე განსხვავებული საძიებო სტრატეგით, სხვაგვარად გამოიყერება: უკუადგების ცენტრში მოქცეულია „მეტყველების გამგზავნი“ თავისი დამოკიდებულებით მიმღებთან და სამეტყველო სიტუაციასთან. იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი გამოკვლევის სტრატეგიას განსაზღვრავს დისკურსის ლინგვოკულტურლოგიური გააზრება, ტექსტი განიხილება სოციოკულტურული და ფილოლოგიური პროექციით. ტექსტისადმი ასეთი მიღვომის დროს აუცილებელია მუდმივად მივმართავდეთ ქვეტექსტურ და ტექსტისმიღმურ ინფორმაციას, კეცადოო ამოვიცნოთ იმის ჩანაფიქრი და განზრახვა, ვისი სიტყვებიც შემოგვრჩა ტექსტში. ჩვენი ჩანაფიქრის შესასრულებლად აუცილებელია შევაღწიოთ იმ სოციოკულტურულ გარემოში, რომელშიც აღმოცენდა მოცემული ტექსტი. ასეთი მიღვომის რეალიზება მოითხოვს, რა თქმა უნდა, თვითონ „დისკურსის“ ცნებისა და მისი ანალიზის პრიციპების გადააზრებას, პირველ რიგში, საქმე ეხება დისკურსის (როგორც მეტყველების, გამონათქმების ექვივალენტის) „ვიწრო“ გაგების დაძლევის აუცილებლობას.

ასეთი დაძლევის ერთ-ერთ პირველ ცდად უნდა ჩავთვალოთ დისკურსის განსაზღვრება, რომელსაც იძლევიან დისკურსიული ანალიზის ფუძემდებლები რამდენიმე მომიჯნავე ცნების (გამონათქმა, ტექსტი, დისკურსი) შეჯერების გზით. ტექსტიც ასევე გამონათქმამია, თუ მას განვიხილავთ როგორც ტექსტის შექმნის დინამიკურ პროცესს; ამ განსაზღვრებაში ტექსტი ფაქტობრივად გაიგივებულია დისკურსთან (ერთიცა და მეორეც განიხილება როგორც გამონათქმები დინამიკაში). იმისათვის რომ აიცილოს ცნებების პრინციპიალური თანხვედრა ლუისპინი გამონათქმამის მეშვეობით განსაზღვრავს მხოლოდ ტექსტს, ხოლო ტექსტის წარმოების პირობებს უწოდებს დისკურსს. სხვა მკვლევარები ცნებაში „დისკურსი“ დებენ არა მარტო ტექსტის წარმოების პირობებს, არამედ მის პროდუქტ-ტექსტსაც.

მოცემული დაზუსტება ნებას გვაძლევს მოვახდინოთ დისკურსიული ანალიზის საგნის – სოციოულტურული შინაარსის ტექსტის მატერიალიზება, რომელიც ასახავს არა მოღაპარაკე ინდივიდების კულტურულ–ისტორიულ, არამედ მთელი ეთნოენობრივი საზოგადოების პოზიციას, რომელიც განპირობებულია სოციალური და ქრონოროპული ფაქტორებით, რომლებმაც მ. ფუჭოს „ცოდნის არქეოლოგიის“ მხარდამხარ მიიღო სახელწოდება „დისკურსიული ფორმაცია“. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება გაფართოვდეს დისკურსის საგანი: ასეთებად შეიძლება მოგვევლინოს არა მხოლოდ „ცოცხალი მეტყველება“, არამედ უძველესი ტექსტებიც, თუ მათში წარმოდგენილი დისკურსები იქცნენ თანამდეროვე ენის იდიომების წარმოქმნის წყაროებად. ასეთი ტექსტების ნათელ მაგალითად შეიძლება გამოვვალებს სახარებისეული ამბები და მათ საფუძველზე წარმოქმნილი იდიომები. მაგალითად: სროლა [გადაგდება, უანტგა, გაშება] ქვის [ლაფის, ტალახის] ვინძესან, ანკითხვა, განკიცხვა, ბრალის დადება, გაშება, სახელის გატეხვა ვინძესი.

კომუნიკაციურ სივრცეს წარმოიქმნის ოთხი ძირითადი შესაკრები:

1. ურთიერთობის სუბიექტების ერთობლიობა (ინდივიდები და იდამიანთა ჯგუფები მათი ინტენციებითა და განზრახვებით, მათი თვალსაწიერით და ნიშნებით ოპერირების მეტნაკლები უნარით, ანუ განსაზღვრული სემიოტიკური დონით ან ფუნქციონალური ცოდნის ხარისხით).

2. კოდების ერთობლიობა (ენობრივი, სემიოტიკური, კულტურული); 3. რეალიზებული, ან სარიალიზაციო ან პრეცედენტული ცნობების ერთობლიობა; 4. ურთიერთობების „ბუხებრივი“ გარემო“, ანუ ჩარჩო, რომელიც შედგება საზოგადოებრივ–პოლიტიკური წყობისა და სახელმწიფოს ტიპისაგან, ადამიანთა მოცემული ერთობლიობის ისტორიულ–კულტურული ტრადიციისაგან, დემოგრაფიული სტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობისაგან.

ადამიანზე ენობრივი ზემოქმედების ფსიქოლოგიური კვლევები ძირითადათ დაკავშირებულია იმის შესწავლასთან, თუ როგორ გამოიყენება ენა რომ განსაკუთრებული სახით მოვახდინოთ ზემოქმედება რეციპიენტის აზრის მსვლელობაზე და მოქმედებაზე.

პირველ შემთხვევაში რეციპიენტი არ უნდა ხვდებოდეს რომ იგი განიცდის ზემოქმედებას, ამიტომ, გარდა ენობრივი საშუალებისა გამოიყენება ვიზუალური, აუდიალური, რიგ შემთხვევაში ტაქტილური, ქცევითი და სხვა სახის საშუალებები. ვინაიდან მხედველობაზე და სმენაზე ზემოქმედებას გააჩნია დიდი მნიშვნელობა ენობრივი ნიშნის აღქმაზე, დაწერილებით განვიხილოთ მოცემული ზემოქმედების სახეები. უდიდეს ძალას წარმოადგენს ზემოქმედება მხედველობის ორგანოზე, ვინაიდან მხედველობას სმენისაგან განსხვავებით უნარი იქნება აუცილებლობის შემთხვევაში ერთობლივად გადამუშაოს მთლიანად მიწოდებული ინფორმაცია, ერთდორულად მთლიანი კომპლექსის სახით. სმენითი ინფორმაცია გადაიცემა და აღიქმება თანმიმდევრულად, ამიტომაც მის აღსაქმედად საჭიროა გაცილებიდ მეტი დრო. ამ ფაქტის გათვალისწინებით შეიძლება პროგნოზირება, რომ სიტყვების გრაფიკული გამოსახულება იქნება აღქმული ადამიანთა მეტი რაოდენობით ერთდორულად თანმდევ ინფორმაციასთან ერთად, ვიდრე ხმამაღლა წარმოქმული სიტყვა. ეს პრინციპია ჩადებული სატელევიზიო რეკლამის საფუძველში.

თანამედროვე პუბლიკაციებში მიძღვნილს, კერძოდ რეკლამას მასობრივი ინფორმაციების საშუალებებში, დაკავშირებულს გამოკვლევებთან მხედველობითი პერცეპციის თავისებურებებთან, დიდი ყურადღება ეთმობა 25-ე კადრის ზემოქმედების ეფექტს. ამდაგვარი ზემოქმედების არსებობა დღეს ეჭვს არ იწვევს. მიუხედავად ამისა 25-ე კადრის გამოყენების იდეას, როგორც ფართო აუდიორიაზე ზემოქმედების მძლავრ ინსტრუმენტს ჰყავს მრავალი მხარდამჭერი. 1980-2000 წლების მიჯნაზე ის სერიოზულად განიხილებოდა უცხო ენის პერიოდული მიერ. უცხო ენის სწრატი შესწავლის რიგ მეოთხეივებში შეთავაზებული იყო ეკრანზე მოციმცმებების დამახსოვრებელი და იძლეოდა გარანტია, რომ მოსწავლეს ეცოდინებოდა ეს სიტყვები თუნდაც “ცნობადობის” დონეზე. მართლაც, ადამიანის გაუცნობიერებელს ნამდვილად უნარი იქნა აღიქვას ამგვარად მიწოდებული ინფორმაცია, მაგრამ ცნობიერებიდან სათანადო გააზრების გარეშე ის ისევ გაუცნობიერებელში დარჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკრანზე როგორიმე ტექსტში მოციმცმე სიტყვების შეხვედრის დროს მოსწავლე მათ ცნობს, მაგრამ არ იცის მათი

მნიშვნელობა. გარდა ვიზუალური ეფექტებისა ზემოქმედების არანაკლებ ინსტრუმენტად გამოდის ბერითი რიგი. ბერითი ზემოქმედების პოტენციალი თუმცა კი უთმობს ვიზუალურს აუდიტორიის სიფართოვესა და აღქმის სიჩქარეში, მაგრამ არ შეიძლება მისი გაუთვალისწინება ენობრივი ზემოქმედების ხერხების განხილვისას. მთავარი კითხვა, რომელზედაც აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი მოცემულ რაციურსში – რაში, კონკრეტულად, ვლინდება ნათქვამი სიტყვის სიძლიერე. კერძოთ, განისაზღვრება თუ არა ის წარმოთქმული ბერების ნაკრებით ისე, რომ ფლობენ უფრო ძლიერი ზემოქმედებით მაგალითად სიტყვები რომელებში უფრო ხშირად გხევდება განსაზღვრული ბერები ან მყაცრად განსაზღვრული ფიქსირებული მათი თანმიმდევრობა.

მეორე კითხვა – პრობლემის გადაწყვეტის ასეთ “აკუსტიკურ” მიღვომას აქვთ თუ არა უშუალო კავშირი თანამედროვე ენასთან, რომლისთვისაც დამწერლობა არანაკლებ, თუ მეტი არა, მნიშვნელოვანია შეეხება ინფორმაციის შესწავლას, რომელიც გადაიცემა ცალკე ბერებით, ამ საკითხით მჭიდროთ დაკავებულია ფონოსემანტიკა. ექსპერიმენტული გზით შეიძლება დამტკიცება, რომ “ბერებს გააჩნიათ ერთგვარი დამოუკიდებელი ლინგვისტური შინაარსი”, მაგალითად მნიშვნელობის ემოციურ-შეფასებითი კომპონენტი (ცალკეულ ბერებს შეუძლიათ გამოცდილთა უმრავლესობაში გამოიწყონ დადგითი ან უარყოფითი ემოციები) ფონოსემანტიკა როგორც ლინგვისტიკის მიმდინარეობა, ჯერ თავის ჩამოყალიბების სტადიაში მდგბარეობს. შემოთავაზებული დასკვნების უმრავლესობა შეიძლება ჩაითვალოს არაუმეტეს წინასწარ ექსპერიმენტულ მონაცემებად.

ენობრივი ზემოქმედების ბერითი შემადგენლის საუბრისას მკლევარები ხშირად ახსნებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ინტონაცია, ტონალობა, რითმი და სხვა: “არსებობს ენის გამოყენების ისეთი შემთხვევები, როდესაც თავად ინფორმაციული შემადგენლის ფასეულობა პრაქტიკულად ნულოვანია, უკველ შემთხვევაში არ უტოლდება ფუნქციონალურ ასპექტს. შესაბამისად აქ მთავარი ფუნქციონალური დატვირთვა ედება არავერბალურ, პარალინგვისტურ და უგრეთწოდებულ ენობრივი აქტის სურასეგმენტურ შემადგენლს (მიმიკას, ჟესტებს, ინტონაციას და სხვ.)”.

თავდაპირველად ეზოთერული ენა (ბერძნულიდან - ესოტერიკოს - შინაგანი) გაიგივებოდა როგორც რჩეულთა, მცოდნეთა, მიღებულობა ენა. დღეისათვის მცნებაში “ეზოთერიული ტექსტები” იდება იდეა რომ იგი განკუთვნილია არა მარტო რჩეულთათვის, არამედ რეციპიენტზე ზემოქმედების იდეა: ეზოთერიულ ლიტერატურას შეუძლია შეცვალოს ადამიანის აზრის და ქცევის ხასიათი. თუ ეს ასეა, ეზოთერიულ ტექსტებს გაუხმოვანდებლობითაც ზემოქმედების უნარი გააჩნიათ – საკმარისია მათი წაკითხვაც. ეს ადასტურებს ზემოადნოშნულ დასკვნას მასზე, რომ ენის ელერადი მხარის მნიშვნელობა (მასთან ერთად გამონათქვამის ინტონაციის, რითმის, ტონის მნიშვნელობა) არ ახდენს ვიზუალური ნიშნის აღქმის გავლენის მნიშვნელობას ვიზუალურად აღქმად ნიშანზე. მითუმეტეს ორივე კომპონენტი (ვიზუალური და ხმოვანი) ახდენენ მდლაცვრ ზემოქმედებას მხოლოდ კიდევ ერთ – ემოციურ კომპონენტან.

ხმოვან ზემოქმედებისას საჭირო ეფექტი მიიღწევა ემოციურად შეფერილი სიტყვების მეშვეობით. ემოციური შემადგენლი არის ის კომპონენტი, რომელიც აკავშირებს სიტყვის გარე (ჟღერად ან გრაფიკულ) არსს მის შინაგან შინაარსთან და მოწოდებულია უზრუნველყოს მათი პარმონიული ურთიერთობა.

ენობრივი ერთეულების კონტატიური სემანტიკის შესწავლით დაკავებულია პრაგმატიკა – სემიოტიკაში და ენათმეცნიერებაში კვლევის სფერო, რომელიც შეისწავლის მეტყველებაში ენობრივი ერთეულების ფუნქციონირებას, ე.ი. საკითხებს, დაკავებულს მოსაუბრის და მსმენელის ურთიერთობასთან კომუნიკაციის აქტის დროს, მჭიდრო კავშირის სიტუაციისას. კვლევის პრაგმატიული ასპექტი წამყანია ადამიანზე ენობრივი მექანიზმების ზეგავლენის შესწავლისას.

საუბარი ეხება ეგრეთწოდებულ ნეიროლინგვისტურ პროგრამირების ტექნოლოგიებს (ნლპ), რომელიც გასული საუცნის დასასრულს მდგინვარეთ განიხილებოდა სხვადასხვა წყაროებში და საგმაოდ პოპულარულია ჩვენს დროში. ნეიროლინგვისტური პროგრამირება მიმართულებაა, რომელიც ძირითადად შეისწავლის და შეიმუშავებს სუგესტიური ზემოქმედების ფსიქოთერაპიულ მეთოდებს, ბაზირებულს იდეაზე, რომ “მეტყველებას შეუძლია დუბლირება და საერთო-

დაც თავისით შეცვლა ჩვენი გამოცდილება და მოღვაწეობა სხვა რეპრეზენტატიურ სისტემებში”.

ეგრეთ წოდებული კოდი სიტყვიერი ნიშნების კრებული არ არის, რომელიც გამოიყენება ადამიანის ქცევის ან აზროვნების პროგრამირებისთვის, როგორც შეიძლებოდა ამაზე ფიქრი. არც ერთ ნეიროლინგვისტური პროგრამირების კვლევაში არ არის მოტანილი ენობრივი ნიშნების შეზღუდული სია ან მათი კომბინაცია, რომელსაც შეეძლო პრეტენზია რომელიმე კოდის სტატუსზე. კითხვის ლინგვისტური მხარე დაიყვანება საკანონი სიტყვების ან იმ სიტყვების გამოყენებაზე, რომლებსაც მოცემული პროვენებისთვის ან მოცემული კოლექტივისთვის აქვს მნიშვნელობა, მეტაფორების, სპეციალურად შექმნილი ტექსტების (მითოთებით, როგორი ინტონაციით უნდა წარმოითქას ყოველი ფრაზა) გამოყენებაზე, ზღაპრების ანალიზზე.

მაგრამ ასეთი მრავალფეროვანი ენობრივი მასალის გამოყენება დაქვემდებარებულია ერთ საერთო იდეას: მის შედეგად რეციპიენტის თავში უნდა გაფორმდეს სურათი ან სცენარი (მოძრავი სურათი) მთლიან, დაუშლელ შემადგენლებზე. მისი დაუნაწერობა ახდენს გარკვეულ ზემოქმედებას - ის არ აძლევს შესვლის საშუალებას სხვა “სურათებს” და მათ უკან მდგარ აზრებს. და პირიქით, ადამიანის თავში უპეარსებული “სურათების” დანაწევრებას, დაკავშირებულს გარკვეულ სიტყვიერ გამონათქმამებთან, ჩამოყალიბებებული სემანტიკური კავშირების დაშლის გზით ამ გამონათქვამების კომპონენტებს შორის მაჟავს ძველი სტერეოტიპების რდვევასთან და ხსნის ახალი აზრის ფორმირების საშუალებას.

ზუსტად ამიტომ ნლპ-ს ტექნიკაში გამოიყენება ზღაპრები - ეს გამზადებული სიუკეტებია, რომელსაც ადამიანი ითვისებს ბავშვობიდან კრიტიკული შეფასების გარეშე, რადგან ამ ასაკში ჯერ კიდე არ არის განვითარებული კრიტიკული აზროვნება და მათი სცენარის აღდგენა სიტყვიერ ან ქცევის ფორმით მთელი ცხოვრების განმავლობაში. და თუ ნლპ-ს ტექნიკაში გამოიყენება ცალკეული სიტყვები, ისინი უნდა იყოს საკანონო სიტყვები გარკვეული ფრეიმის ფორმირებაში. ვაჯამებთ რა ენობრივი ზემოქმედების ფსიქოლოგიური ნაწილის განხილვის შედეგებს, უნდა ავღნიშნოთ, რომ იდეაბის უმრავლესობამ, დამუშავებულმა ფსიქოლოგიაში, პოვა

თავისი ასახვა ლინგვისტურ ნაშრომებში. კერძოთ, მათზე ბაზირდება თანამედროვე კოგნიტიური ლინგვისტიკა. ასე, აანალიზებს რა ტესტებცოვა კოგნიტიური ლინგვისტიკის ამერიკული სკოლის მიღწევებს, აშენებს იდეების პარალელურ ხაზებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ტრადიციულ ენათმეცნიერებას და თანამედროვე ლინგვისტიკას.

ტრადიციული მიდგომა

1. აზროვნება აბსტრაქტულია და დამოკიდებული არ არის კონკრეტულ განხორციელებაზე

2. აზროვნების პროცესი არის აბსტრაქტული სიმბოლებით აღგორიტმული მანიპულაცია

3. აზრი ატომარულია, შემადგნელებზე დაშლადია

4. აზროვნება ეკოლოგიურია (აზროვნების ფუნქციები დამოკიდებულია ცნების სისტემის საერთო კონფიგურაციაზე)

ახალი მიდგომა

1. აზროვნება “განსახიერებულია” ე.ი. განპიროვნებულია ადამიანის “სხეულებრივი გამოცდილებით”

2. ხატოვნი, მეტაფორული აზროვნება

3. აზრს გეშტალტის თვისება გააჩნია, დაუშლელია

4. აზროვნება ლოგიკურია (აზროვნების ფუნქციები დამოკიდებულია ცნების სისტემის საერთო კონფიგურაციაზე)

თანამედროვე ფსიქოლოგიის მიღწევებით შეიარაღებული, ენათმეცნიერების სპეციალისტები მთავარ ასკეპტს აკეთებენ ენის სემანტიკურ მხარის შესწავლაზე. ლ. მურზინი და ა.ს. შტერნი წერენ: “ტექსტის აღქმა არ შემოიფარგლება მისი ყდერადობის ან გრაფიკული ნიშნების თანმიმდევრობის აღქმით (შეგრძნებით), საერთოდ გამოთქმით როგორც ტექსტი არსებობს მხოლოდ აღქმის პროცესში, ასევე ტექსტის შინაარსი არსებობს მხოლოდ გაგების პროცესში”.

გაზეობის, უზრნალების, რადიო და ტელეგადაცემების, უპირატესად პოლიტიკური და საერთო საინფორმაციო მიმართულების ტექსტების ანალიზის დახმარებით შეიძლება აღვადგინოთ ენობრივი საშუალებების და სტრატეგიების სამაგალითო ჩამონათვალი, რომელსაც შეცყობინების გამგზავნი იყენებენ ფართო პუბლიკაზე გარკვეული ზემოქმედების მიზნით. ასე, კიდევთ რა საფუძვლად ტ.ა. ვან დეიქის და ვკინჩის კვლევას, შეიძლება გამოვყოთ ენობრივი ზემოქმედების

სტრატეგიები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მათი ტაქტიკის შემადგენლები (ამა თუ იმ სტრატეგიის რეალიზაციის კონკრეტული ხერხები) და გამოყენებული ენობრივი საშუალებები. ცალკე ღირს მოვისხენიოთ იმპერატიული კონსტრუქციები, ვინაიდან მათი პირდაპირი დანიშნულებაა მსმენელის შეგულიანება გარკვეული ქმედებისაკენ. იმპერატიული კონსტრუქციები გარკვეულ ლექსიკასთან და ფრაზე-ოლოგიასთან შეთავსებაში (კლიშეების და მეტყველების მყარი კონსტრუქციების ჩათვლით) არის მთავარი ელემენტი:

1. დამტკიცება (არგუმენტაცია);
2. დარწმუნება (რწმენის განმტკიცება, რომ აზრი დამტკიცებულია);
3. დათანხმება (ემოციური დარწმუნება);
4. ღიჯინი (არაერთჯერადი ემოციური თხოვნა);
5. ჩაგონება (მოუფიქრებლად დაჯერება);
6. თხოვნა (შექმნება რამეს გაკეთების, მოსაუბრესთან კარგი დამოკიდებულებიდან გამომდინარე);
7. ბრძანება (დამოკიდებული მდგრმარეობიდან გამომდინარე);
8. იძულება (ბრძანების ძალადობრივი შესრულება)

კიდევ ერთი სპეციალური ხერხი, რომელიც იმსახურებს ცალკე განხილვას, არის ევფემიზმების, ანუ უფრო “რბილი” გამონათქმამების გამოყენება უხამსის და უკმეხის მაგივრად. თანამედროვე საზოგადოების ენობრივი პოლიტიკის ალბათ უველავე გავრცელებული ინსტრუმენტია პირდაპირი გამონათქმამების შეცვლა შინაარსობრივად ახლო, მაგრამ მეტნაკლებად შელამაზებულით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ევფემიზმების ინტენსიურ გამოყენებას, რომელიც შემდგომში გადაიზარდა მთელი ხელოვნური სუბჟენის დამუშავებაში საკუთარი ენობრივი შემადგენლობით და სინტაქსით, დასაბამი დაედო ამერიკულ პრესაში ვიეტნამის ომის დროს. ვიეტნამში ამერიკული ჯარების სამხედრო მოქმედებებმა მოგვიანებით მოცემულ ენაზე მიიღო დასახელება “ვიეტლიის” (Vიეტლისპ, Vიეტნამ -დან), იწოდებოდნენ “დაწყნარების, დაოკების პროგრამად”, მასიური ბომბდამშენები – “დაცვით რეაქციათ” და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის II თავში „დისკურსის შიდა ფანრობრივი ტიპოლოგია“ განხილულია დისკურსის შიდაფან-

რობრივი ტიპოლოგია და მხატვრული ტექსტი როგორც დისკურსის სპეციფიკური სახესხვაობა.

ცნება დისკურსი ხშირად გამოიყენება ამა თუ იმ უანრის აღსანიშნავად, მაგალითად: „სიახლის დისკურსი“, „პოლიტიკური დისკურსი“, „მეცნიერული დისკურსი“, „მებრძოლი დისკურსი“, და ბოლოს ცნება დისკურსი უველავე აბსტრაქტულია, როცა იგი ეხება სპეციფიკურ ისტორიულ პერიოდს, სოციალურ ერთობლიობას ან მთელ კულტურას. ასეთ დროს ამბობენ, მაგალითად, „კომუნისტური დისკურსი“, „ბურუუზიული დისკურსი“ ან „ორგანიზაციული დისკურსი“. ამავე შემთხვევებში – სოციალური ცნებების ანალოგიურად „სოციალური ფორმაცია“ ან „სოციალური წესრიგი“ ამბობენ „დისკურსიული ფორმაცია“ ან „დისკურსიული წესრიგი“. სწორედ ამ აზრით ჩვენ ვლაპარაკობთ, მაგალითად, იდეოლოგიურ დისკურსზე.

დისკურსის განხილვა პრაგმატიკის თვალსაზრისით (სემიოტურად გაგებულს როგორც მორისისეული ტრიადის – სემანტიკა – სინტაქტიკა – პრაგმატიკა) ნაწილს უნდა დავიწყოთ ბელგიელი ლინგვისტის ებიუსისანსის მიერ შემოთავაზებული სქემის ანალიზით: „ ანგუ არის სისტემა, რომელიმე განყენებული გონებრივი კონსტრუქცია, დღისცოურს – არის კომბინაციები, რომელთა რეალიზაციის მეშვეობითაც მოღაპარაკე იყენებს ენობრივ კოდს (ანუ სემას), პაროლე მექანიზმია, რომელიც ხებს გადალევს განვახორციელოთ ეს კიმბინაციები (ანუ სემიური აქტი)“. როგორც ვხედავთ, ტრიადის პირველი და მესამე ნაწილები პრაქტიკულად მთლიანად განეკუთვნება დინგვისტიკის სფეროს. მეორე კი შეიძლება ბევრი რამით საინტერესო იურს ლიტერატორულებისთვისაც: ჯერ ერთი, დისკურსი აქ გულისხმობს მოღაპარაკეს, ეს კი მნიშვნელოვანია ლიტერატურის თეორიისათვოს, სადაც ავტორი ყოველთვის რჩება მკვლევარის ყურადღების ცენტრში, თუნდაც აცხადებდეს მის (ავტორის) სიკვდილს. მეორედ კი, აქ მითითებულია დისკურსის როგორც თავისებური კოდის როლზე, რომელსაც მოღაპარაკე იყენებს საყველთაო ენობრივი კოდის რეალიზაციისათვის.

თუ ნებისმიერ მხატვრულ ტექსტს გააჩნია იდეოლოგიური, საგირიაციო ან პროპაგანდისტული დაგვირთვა (როგორც გმაიაკოგსის პოეზიას), მაშინ ამ მხატვრულ ტექსტში ჩნდება მებრძოლი დისკურსის ელემენტები:

- დომინირებს მოწოდების დეკლამატორული სტილი,
 - პროპაგანდისტული ტრიუმფალიზმი,
 - ყველაფრის იდეოლოგიზაცია, რაზეც ლაპარაკია, ცნებების გაფართოებული ხმარება ლოგიკის საზიანოდ.
 - გადაჭარბებული აბსტრაქცია და მეცნიერულობა,
 - ამაღლებული პრიტიცულობა და „მგზებარება“.
 - ლოზუნგურობა, მიღრეკილება დაუიცებებისადმი,
 - აგიტატორული შემართება,
 - ზე პიროვნულის საკუთარი „მეს“ პლევარილება
 - პარტიულობის ფორმალიზმი.
 - პრეტენზია აბსოლუტურ ჰეშმარიტებაზე.
- ეს თვისებები ავლენენ პოლემიკურობას, რომელიც საზოგადოდ ახასიათებს მებრძოლ დისკურსს და განასხვავებენ მას მეტყველების სხვა სახეობებისაგან. ეს პოლემიკურობა აისახება, მაგალითად სიტყვათა შერჩევაში და წარმოადგენს საბრძოლო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოქმედებების გადატანას ბრძოლის გელიდან თვატრალურ სცენაზე. აგრესიულობის ასეთი სუბლიმაცია ჩადებულია ადამიანის ბუნებაში (ზოგიერთი სოციალური ფსიქოლოგის აზრით). მებრძოლ დისკურსში დიად ან შეპარვით შემოთავაზებული შეფასებების გამოვლენა შეიძლება, შემდეგი შინაარსის მქონე გამონათქვამების ანალიზით:
- მოქმედების კონსტატაციები და მოწოდებები,
 - კონკენტის სახით შემოთავაზებული შეფარული გამონათქვამები,
 - პასუხები შერჩეულ კითხვებზე (დავადგენთ რა, სახელდობრ რომელ კითხვებზე გვპასუხობს მოცემული დისკურსი და რომლებს ტოვებს უპასუხოდ).
 - პრობლემების განმარტებები და აღწერა
 - საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის აღწერა: პოზიტიურ ტერმინებში „კონსტრუქციულად“ („ჩვენ უნდა გავაკეთოთ ეს, ესა და ეს“), ან ნეგატიურად („ჩვენთვის მიღებულია ეს, ესა და ეს“, „ასე ცხოვრება არ შეიძლება“),
 - იდეების ფორმულირება, რომლებიც ავტორს ესახება ნოვატორულად,
 - ზოგადი ჰეშმარიტებების, როგორც განსჯის შედეგის, როგორც უმჯობელი „დმერთის მიერი“, (ოდ ს ტრუტ) მოცემული დეკლამატორული გამონიკაციის არსებით ნიშნებად უცირო სახელებებს:

- ლობების მაუწყებელი გამონათქვამები, ან ამ მოცემულობების მიზეზების გამოსავლენი საგანი,
- შეკითხვები და მოთხოვნები ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი,
 - ამა თუ იმ გადაწყვეტილებისათვის ხელის შეწყობის მოწოდებები და მისი დახმარების წინადაღებები.
- მებრძოლი დისკურსის საზოგადოებრივი დანიშნულება მდგრმარეობს იმაში, რომ ადრესატებს – საზოგადოების მოქალაქეებს ჩაუნერგოს „პოლიტიკურად სწორი“ ქმედებების ან შეფასებების აუცილებლობა. სხვანაირად რომ ვთქათ, კი არ აღწეროს (ანუ არა რეფერენცია), არამედ დააჯეროს, აღმრას აღრესაგან ში განზრახვა, მისცეს ნიადაგი რწმენისათვის და განაწყოს მოქმედებისათვის. ამიტომ მებრძოლი დისკურსის ეფექტურობა შეიძლება განისაზღვროს ამ მიზნებთან დაკავშირებით.
- ცნება „ტექსტის ტიპი“ ჩვენს დროში გამოიყენება როგორც ტექსტის ორორის, კერძოდ, ტექსტის ლინგვისტიკის კალეგების მუშა ტერმინი და აღნიშნავს ტექსტის მანიფესტაციის ემპირიულად არსებულ ფორმებს. განსხვავება „ტექსტის ტიპის“ ცნების განმარტებაში ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია. იგი განიმარტება ხან ძალიან ვიწროდ ხან ძალიან ფართოდ (მაგალითად, კულინარული რეცეპტი როგორც ტექსტის ტიპი და თარგმანი როგორც ტექსტის ტიპი).
- თავს ავარიიდებთ ამ მოვლენისადმი დისკუსიის ყველა სირთულესა და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს და მეცნიერების მიერ დაგროვებული მონაცემების საფუძველზე მაინც შევცდებით განგხაზღვროთ მირითადი კრიტერიუმები ტექსტების განსხვავებული მანიფესტაციების გასამიჯნად. ცხადია, რომ ეს კრიტერიუმები უნდა შეიგსოს მთელი რიგი მაჩვენებლებით და მოიცვას თუნდაც ტექსტის მთავარი მახასიათებლები: ინფორმაციული, ფუნქციონალური, სტრუქტურული–სემიოტიკური, კომუნიკაციური.
- მხატვრული და არამხატვრული კომუნიკაციის არსებით ნიშნებად უცირო სახელებებს:
- 1) უშეალო კავშირის არსებობა/არარსებობას ადამიანის სიცოცხლის–უნარიანობასა და კომუნიკაციის შორის;
 - 2) ესთეთიკური ფუნქციის ქონა/არქონა;
 - 3) შინაარსის ექსპლიციტურობა/იმპლიციტურობა (ქვემოთ სტილის ქონა/არქონა);

- 4) განწყობა აღქმის ერთმნიშვნელიანობა/მრავალმნიშვნელიანობა);
- 5) განწყობა არსებული/არარსებული სინამდვილის ასახვაზე (მხატვრული ტექსტები წარმოადგენენ არა რეალური სინამდვილის მოდელს, არამედ სინამდვილის შეგნებულად კონსტრუირებულ შესაძლო მოდელებს).
- მოცემულ ჩამონათვალში პირველი პოზიციები უკირავთ არამხატვრული ტექსტების ნიშნებს, მეორე პოზიციაზე არიან მხატვრული ტექსტის მახასიათებლები.
- მხატვრულ ტექსტებს გააჩნიათ სახეობრივ-უანრობრივ ნიშნებზე ორიენტი-რებული საკუთარი ტიპოლოგია.
- არამხატვრულ ტექსტებს აქვთ თავისი კერძო ტოპოლოგია: მასიური კომუნიკაციის ტექსტები, მეცნიერული ტექსტები; ოფიციალური-საქმიანი ტექსტები.
- სადისერტაციო ნაშრომის III თავში „მაიაკოვსკის პოეზია ზემოქმედების თეორიისა და დისკურს-ანალიზის თვალსაზრისით“ განხილულია ვაჟაიაკოვსკის პოეზია მეტყველებითი ზემოქმედების თვალსაზრისით და მაიაკოვსკის პოეზიის რიტმიკისა და აგიტაციურების თავისებურებების გათვალისწინებით.
- ზემოქმედების თეორიის ობიექტიან გვევლინება კოგნიტიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ენობრივი და სხვა მექანიზმები, რომლებიც ნებას გვაძლევენ ვიმოქმედოთ ადამიანის ცნობიერებაზე და მის მიერ ამა თუ იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. ვინაიდან ეს მექანიზმები ძალზე მრავალფეროვანია, ამიტომ თვითონ ზემოქმედების თეორიაც არსებითად სადიციპლინათაშორისო თეორიაა, და ეს პრობლემატიკაც აისახება სადისციპლინათაშორისო სამეცნიერო მიმართულებებში. აქ პირველ რიგში იგულისხმება კოგნიტიური მეცნიერება, რომელიც იკვლევს ადამიანისათვის და მახასიათებელი აზროვნებისა და სინამდვილის ინტერპრეტაციის როგორც მისი შედეგის უნარს.
- სინამდვილის ვარიაციული ინტერპრეტაციის ენობრივი მექანიზმები განისაზღვრება ენის ფუნქციონირების, არადისკრეტულის დისკრეტულად გარდაქმნის არსით. ენის დახმარებით ადამიანს შეუძლია გაიაზროს არადისკრეტული სინამდვილე, მის ინტერპრეტაციის მეშვეობით ენობრივი კატეგორიების დისკრეტულ ტერმინებში. ხდება მეორე პროცესიც (გარკვეული აზრით ინტერპრეტაციის საწინააღმდეგო პრო-

ცესი) – აზრის არადისკრეტული მრავალგანზომილებიანი სამყარო გარდაიქმნება დროის დერმზე განფენილ ენობრივ გამონათქვამთა დისკრეტულ თანამიმდევრობად.

ცნობიერებაზე ზეგავლენის ენობრივი მექანიზმების არსებობას დიდი ხნის მანძილზე აღნიშნავდენენ ფილოსოფოსები, მწერლები და პუბლიცისტები, ფილოლოგები და ეგრეთ წოდებული „ზოგადი სემიოტიკის“. წარმომადგენლები. ენის ზემოქმედების საკითხს სინამდვილის აღქმაზე ერთ-ერთი პირველი შეეხო ფრაკონი „ახალ ორგანონში“, როცა განიხილავდა ადამიანის შემეცნების პროცესს და მის თანმდევ ცდომილებებს – „იდოლები“ თუ „მოჩვენებები“. მათ რიცხვში მან მოიხსენია სამეტყველო ურთიერთობის პროცესში წარმოქმნილი „მოვენის იდოლები“ (იდოლა ფოზი), რომლებსაც, კერძოდ, მივყვადით სიტყვისა და ნივთის იგივეობამდე – „ენობრივი საფრთხე“, რაც შემდგომში ინტენსიურად განიხილებოდა მრავალი ავტორის მიერ, მათ შორის ჯონ ლოკის მიერაც „ცდაში ადამიანური შემეცნების შესახებ“, სადაც შეიძლება აღმოვჩინოთ „სიტყვების ბოროტად გამოყენების (აბუსე თუ ორდეს) თეორიისა და ტიპოლოგიის ელემენტები. ლოკი გამოყოფდა გამონათქვამში განგებ შეტანილ ბუნდოვანებას; სიტყვების გამოყენებას იმის დასასახელებლებიდან, რისი აღნიშნავენაც მათ არ შეეძლოთ; ფართო სემანტიკის მქონე გამონათქვამების გამოყენება (იდეა, ჭეშმარიტება, ხალხი და ა.შ.); მეტყველების გადაჭარბებული ხატოვნება.

მეტყველების ზემოქმედების თეორიაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ იგი, მიუხედავად ფართოდ გავრცელებული აზრისა, სრულიადაც არ ამოიწურება მასიური კომუნიკაციის სფეროში, საჯარო პოლიტიკაში რეკლამაში და ა.შ. მიმოქცევაში არსებული სიტყვიერი ნაწარმოებებით. კერძოდ, ამის შესახებ, დიდი აცხვადებს მ. ბლაკარი: „იდეა იმის შესახებ, რომ ჩვენი – ჩემი და შენი – ყოველდღიური სარგებლობა ენით, ჩვენი ძალდაუტანებელი საუბარი გულისხმობს ბატონობის განხორციელებას, ანუ ზეგავლენას სამყაროს აღქმაზე და მის სტრუქტურირებაზე მოსაუბრის მიერ. – ეს იდეა შეიძლება ერთდროულად გვეჩვენოს მოულოდნელიცა და იმედისმომცემიც. აქედან გამომდინარეობს, რომ „ნეიტრალური“ გამოთქმა თითქმის შეუძლებელია. მოლაპარაკებს შეუძლია არა მარტო აირჩიოს რომოელიმე შინაარსის გადმო-

ცემის სხვა და სხვა ვარიანტი, არამედ იძულებულიცაა განახორციელოს ეს არჩევანი. ამის ანალოგი შეიძლება შევამჩნიოთ გრამატიკაში: ენა აიტულებს მოლაპარაკეს გრამატიკული კატეგორიის ამა თუ იმ გრამქმის აუცილებელ არჩევას (მხოლოდითი ან მრავლობითი რიცხვი, ქცევა, დრო, ბრუნვა) – ხშირად იმისგან დამოუკიდებლად რეალურად საჭიროა თუ არა არჩევანი მოლაპარაკის კომუნიკაციური ინტენციის თვალსაზრისით.

ბ.მ. ეიხენბაუმის სიტყვების დასტურად: შემოქმედებაში, ლექსტებაში მაიაკოვსკის არატრადიციულობის შესახებ (მაგ. მაიაკოვსკის ნოვატორული ლექსის სტროფიკა) საჭიროდ მიგვჩნია უპირველესად ყოვლისა შევჩერდეთ შედეგ მომენტებზე:

პირველი, განვითარების გარკვეული საფეხურების გავლის შედეგ, ჯერ კიდევ რევოლუციამდელი მაიაკოვსკის პოეზია, კლასიკური მეტრიკის მონოტონურობის საპირისპიროდ, ფართოდ იყენებდა უტერფო –, ზეპირმეტყველების, ურაზებისა და სინგაგმების ენერგიას. მის ლექსებში რიტმაფორმები თრგანულად ერწყმის გამონათქვამის აზრს. 1922 წ. შემდეგ კი, როცა მაიაკოვსკიმ დაიწყო ეწ. „კიბის“ გამოყენება ლექსის გრაფიკაში, ერთ მხრივ, ლექსებში მკაფიოდ გამორჩდა რიტმის ინტონაციური მწვერფლების ტემპო-ფრაზული გამოყოფა, მეორე მხრივ, სტრიქონმა, როგორც ასეთმა, შეიძინა თავისი პაუზა, სტრიქონული ვიზუალურობა, საკუთარი სტატუსი (ადრე, მკითხველის საზიანოდ, ყოველივე ეს იშიფრებოდა „იმაღლებოდა“ ლექსის „სვეტში“).

მეორე, თვითონ პოეტს არაერთხელ უთქვამს, რომ მისთვის ნოვატორობა, „ლექსის“ ახალი „ინჟინერია“ (მისი ტერმინია) არ ნიშნავს წარსულის მიღწევების უარყოფას. აი რას ამბობს იგი პუშკინზე: „Я люблю вас, но живого, а не мумиию. «Вам

теперь пришлось бы бросить ямб картавый».

მესამე, ფაქტად უნდა ვაღიაროთ ის რადიკალური სიახლე მაიაკოვსკის ლექსში, რაც არ იყო სილაბო-ტონურ სტროფებში. ეს, უპირველესად ყოვლისა არის სხვადასხვა დონიანი ფრაზულ-სინტაგმური ინტონაცია და სხვადასხვა დროიანი პაუზირება როგორც სისტემა, როგორც სტილური მოცემულობა. საქმე იმაში გახლავთ, რომ მაიაკოვსკის სტროფს

გააჩნია როგორც ინტონაციის ამაღლების სხვა და სხვა ხარისხი (უდაბლესიდან უმაღლესამდე) ის, მისი კლების ხარისხი, უმდაბლესი მახვილის სრულიად მოხსნამდეც კი (ლაპარაკია ლინგვისტიკაში ცნობილ მოვლენაზე: სტროფის სტრიქონში სუსტმახვილიანი სიტყვების ატონაციაზე დეზაქტენტუაციაზე).

ამასთან დაეძენო, რომ მაიაკოვსკის ლექსში ატონაციის სისტემის შეტანით მის სტროფიკაში ფართო გავრცელება პპოვა როგორც რითმისშემდგომმა დანართებმა, ისე ლინგვისტიკური პროელიზისა და ენკლიზის პრინციპით შედგენილმა რითმამ. ყოველივე ეს არ იყო სილაბო-ტონიკაში.

მეოთხე, მაიაკოვსკის სტროფში სახეზეა თავისებური (ერთიან მონოლითად ზემოდან ქვემოთ გარტიკალური სიმეტრიის წესით, ნაგები) ლექსის სინტაგმებისა და ლექსის ფრაზების ვერტიკალური დერძის მიმართ სტრუქტურულად „სარკისებრი“ ნაგებობა.

მეხუთე, „შინაგანი“ ფორმის პრიორიტეტული როლი მაიაკოვსკის სტროფიკაში.

მეექვესე, მაიაკოვსკის სტროფების რეპერტუარში გულდასმით, დაწვრილებით იშიფრება მათი ტიპოლოგიური განსხვავება სინტაგმებისა და ფრაზების შიგნით აქცენტის ნიშნით; დაგმატებთ: ასევე სტრიქონებისა და სინტაგმების „გახლების“ (ნ.გ.ხერემისინის ტერმინი) და სიტყვების გახლების ნიშნითაც კი. ასე რომ, მაიაკოვსკისთან ამა თუ იმ ტიპის სტროფის გამოყოფის საფუძვლად ახლა მიუღებელია გარითმის სქემა, ვინაიდან რითმა მასთან უპირატესად მდგრადია – კატერინესტური ან შეწყვილებული.

იცვლებოდა თუ არა ნოვატორი პოეტის ხელში გარეგანი ფორმა? თუ იცვლებოდა, მაშინ როგორია აქ ფრაზისა და სინტაგმის როლი? როგორია მაიაკოვსკის ლექსთწყობის მეოთხეივე?

ჯერ ჩამოვთვალოთ პოეტის ამ კატეგორიის ზოგიერთი ხერხი, რომლებიც გვაძლევენ ლექსის ეფექტს.

1. ერთი და იმავე სიტყვის გამეორება და თანაც აქცენტის მახვილის ზრდით „Браво! Бра-аво! Бра-а-аво! Б-р-ა-ა-ა-ა-ვ-ი!“, «В Москву!! В Москву!!!», «Алло! Алло!!!» ვმეიერხოლდი ამის შესახებ შენიშვნაზაა: „მაიაკოვსკის არ პქონდა უბრალო ტეხილები მაღლი ხმიდან

წყნარზე“, ანუ „ჩაწყნარებაზე“ და შემდეგ: „მაიაკოვსკიმ იცოდა პოეტური პარტიტურის შექმნის საიდუმლო“, ამიტომ მას ყოველთვის აქვს – „ფორტე – პირველი, ფორტე-მეორე, ფორტე-მესამე“.

3. ეს დაწერება-დაჭიმვა მის ლექსში შეინიშნება არა მარტო ხმოვნების, არამედ თანხმოვანი ბგერების ხმარების დროსაც: «Т-с-с-с-с-с-с!», «Т-ш-ш-ш, башня, тише шлепайте».

არც ერთ ნაწარმოებს, თუ ის არ ვარაუდობს კომუნიკატიურ
სიტუაციას და მთელ უმეტეს, მისი საწყისი მასალა ატარებს
ნიშნობრივ ხასიათს, არ შეუძლია დარჩეს სემიოტიურად ინ-
დიფერენციალი. ნებისმიერ შემთხვევაში მის საფუძველში
უნდა იდოს გარკვეული პოზიცია “ზნაკოვი” კატეგორიასთან
მიმართებაში. ამ მნიშვნელობით ნებისმიერი ნაწარმოები
ულოცს საკუთარ იმპლიკიტურ – შინაგან სემიოტიკას.

გავაკეთებდ რა ეს აუცილებელი წინასწარი საერთო ხასიათის დამატებითი შენიშვნა, გადავიდეთ ახლა ჩვენი დაკვირვებების უშუალო საგანზე – ტექსტების კორპუსზე, აღნიშნული ინდექსით “მაიაკოსესი” და ფუნქციის მაჩვენებელით “მხატვრული ნაწარმოები”. მაიაკოსესის შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა გამოვიდოთ მისი შინაგანი სემიოტიკა, რომელიც, კიმედოგნებთ, მოჰყენს შექს მისი პოეტიკის ზოგიერთ სხვა (ყოველ შემთხვევაში მთავარ) თავისებურებებს. ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია მაიაკოსესის პოეზიაში ჩადგებულ ნიშანთა გაგების რეკონსტრუირება, ე.ი. გაგება და რეალიზაცია დამოკიდებულებისა “აღმნიშნებული ადსანიშნი ადსანიშნი”.

რუსელი ენის მატარებლების ენობრივი ინტუიცია (აგრეთვე მთელი წინამორბედი ლიტერატურული ტრადიცია) აღნიშნულის ან ენობრივი ნიშნის (სიტყვის) ბევრით-გრაფიკული მხარის უკან ყოველთვის ვარაუდობს შესაფერის აღნიშნულს (მინაარსს, მნიშვნელობას) და მათ განუყოფელ კავშირს. ასეთი ინტუიციისათვის სიტყვა აღნიშნულის გარეშე კარგის სიტყვის სტატუსს, გაუშინაარსდება, ხდება “არა სიტყვად” (მაშინაც კი, როდესაც იგი იძენს “უზენაისის” სტატუსს მასში მიიჩნევა თავისებური სხვა ენობრივობა – ღვთიური, მისტიური, მაგიური და სხ. – სიტყვა, და არა შინაარსს მოკლებული სიტყვა). ანალოგიურად იმ საგნისა ან მოვლენის, რომელიც ვლინდება დაკვირვების ქვეშ მყოფ არაენობრივ რეალობის შემთხვევაში, ამ ტიპის ინტუიცია გულისხმობს მისოვის შესაფერისი დასახელების – სიტყვის – არსებობას. სახელო აღიქმება ან როგორც არ არსებული ანდა როგორც დაკარგული ან საიდუმლო სახელის ქონე. ტრადიციული და საერთოდ ბუნებრივი ენის მატარებლისათვის დამახასიათებელი წარმოლენება სიტყვაზე ვარაუდობს მისი შემადგენელი მიკროელემნტების მკაცრად მოცემულ წესს (მორფოლოგიურ, ფონეტიკურ ან გრაფიკულს), რომელიც ასრულებს შინაარსგარენით ფუნქციას. სიტყვების შინაგან წესრიგს ამას გარდა ედება წარმოთქმის ან წაკითხვის მოცემული წესი. გამოხატვის სიტყბიერი მხარის კომპონენტების შინაგანი მოწესრიგებულობა (მისი სტრუქტურულობა) უსრუნველყოფს სიტყვას მის გამოყოფას სიტყვიერი კადიდან, შინაგან ჩაკეტილობისა და გარე შეზღუდულობას დანარჩენ (მეზობელ სიტყვებისაგან. მაგრამ სიტყვების შინაგან სტრუქტურულობას ხომ აგრეთვე ედება მისი წარმოქმარევით ხელის ანუ საზოგნება და შეუქცევადობა. აიტყვის ხაზოგნება და შეუქცევადობა უპირისპირდება მის შინაგან ჩაკეტილობას, ანეიტრალებს მას. ერთის მხრივ, ის-ნი უზრუნველყოფულობებს სიტყვას მის თავისუფალ ჩართვას შინგაბატიურ ჯაჭვში და ამით გამოხანენ მის სემანტიკურ აქცენტებისა, არადამოუკიდებლობას – თავისს შინაარსს სიტყვა გაუკეთებს რეალიზაციას ვინაიდან და რადგა-ცაც წარმოგვიდგება უფრო მსხვილი ერთიანობის. მეორეს ხრივ, ხაზოგნან სინგაბატიურ რიგში შესვლა შლის სიტყვის ფორმალურ გარე საზღვრებს, ქმნის სიტყვის დიაობას, უფრო სუსტს დასაწყისში და უფრო მდლაგრს ბოლოში.

არის რა მეტყველების გამოყოფადი ერთეული, სიტყვა ერთდროულად არის ერთეული დაშლილი საზღვრებით მის დასაწყისში და ბოლოში (იხ. წინასწარქმედების პრინციპი); დამოუკიდებელი - ის ერთდროულად ფლობს შეთავსებას სხვა სიტყვებთან (შემთხვევითი არაა რომ ნებისმიერი სიგრძის გამონათქვამის დაბოლოება ყოველთვის უნდა აღინიშნებოდეს დამატებითი საშუალებებით: ხმის აწევით ან დაწევით, ინტონაციით, მეტატექსტური მითითებით ტიპისა “დაბოლოება”).

პირველი ისინი იკვეთებიან ერთგვარ ერთმანეთისაგან იზოლირებულ სეგმენტებად - მოცემული სიტყვების ჩვეული მორფოლოგიური კვეთის მიუხედავად. (“У-лица”, “резче”, “че-рез”) ეს კვეთა დამატებითი მანიფესტაციით ცალკეულ ნაწილებად მიმოიბნევა ცალკეულ დამოუკიდებელ ლექსებში. სიტყვა, ამგვარად, აქ კარგავს თავის ჩვეულ გამოხატვის გეგმას.

მეორე - აქ სიტყვები იკითხება ნებისმიერად- აშკარა იგნორირება ხდება ერთჯერადი და მოცემული რიგის კითხვა - გამოთქმის წესის. «У-лица» և «Лица у», «рез-че» և «че-рез», «догов» և «годов»).

სხვაგვარად, ეს სიტყვები იკითხება ნებისმიერი მიმართულებით და რიგითობით: თავიდან ბოლომდე, ბოლოდან თავში, შუიდან მათი ნაწილების შეცვლით (მეტათეზის სახით). კომპონენტების ყოველმხრივი ხილვადობა და უკიდურესი შინაგანი თავისუფლება აგრეთვე მკვეთრად ცვლიან რელაციას „სიტყვა-აღქმადი სუბიექტი“ და რელაციას „სიტყვა-მოლაპარაკე სუბიექტი“.

დაკარგა რა ურთიერთობის საშუალების ფუნქცია, მოკლებული შინაარსის გადაცემის საშუალებას, ის აღიქმება როგორც ფიზიკური ობიექტი. ის საჭიროებს ახლა არა გაგებას არამედ ჭვრებას და თვალიერებას.

ანალოგიურია გამგზავნის შემთხვევაშიც: ის, მკაცრად რომ ვთქვად, არ ექვემდებარება წარმოთქმას, ვარაუდობს, უპირველეს ყოვლისა გრაფიკულ ასახვას, დემონსტრაციას, რომელიც საშუალებას იძლევა ყოველმხრივ დანახვას. ეს სიტყვა უკვე მეტალური აღარაა, არამედ გრძნობადი და ვიზუალურია - და, უფრო, ხაზითი. გამოთქმის შემთხვევაში კი ის გარდაიქმნება არტიკულაციური მომრაობის-ექსტენსის ვა-

რიატიულ პარადიგმათ. თვითკმაყოფილი, თავის ჩარჩოებში ჩაკეტილი მაგრამ მათ ფარგლებში საკმაოდ მოძრავი, მას არ შეუძლია ჩაერთოს რომელიმე სხვილ შეტყობინებაში - ტექსტში. ასეთი სიტყვა თავად წარმოადგენს რაღაც ტექსტის მაგვარს. ასეთი ტექსტის სიტყვის საზღვრებში იქნებოდა მისი მიკროელემნტების (ბერები, ასოები, გრაფემები) ყოველნაირი კომბინაციები. ასე, მაგალითად, მაიაკოვსკის მოცემულ ტექსტში კომპლექსი «У-лица» მთავრდება გადადგილებით და უკუდმა წაკითხვით «Лица у» . გასვლა «догам»-ზე აშკარად სხვა კანონებითა და გარედან შემოტანილია (რასაც მოგვიანებით მოუბრუნდებით). რელაცია “აღნიშნავს აღსანიშნს”. ლექსი ” კოფთა ფათა “ იწყება ასე: Я сошью себе черные штаны из бархата голоса моего.

желтую кофту из трех аршин заката

По Невскому миру, по лощеным полосам его.

профланирую шагом Дон-Жуана и фата.

მოცემული ტექსტი ბაზირდება ტრადიციული ტიპის შედარება-მეტაფორებზე («бархатный голос» ან «голос как бархат»: «кофта желтая / золотая как закат» და «Невский проспект всего мира), რომლებიც მიღრუკილია გარებეულ ტრანსფორმაციებს. ტრანსფორმაციების მიმართულება და არსი გახდება ნათელი, თუ ჩვენ გაეგრკევით საბაზისო შედარება-მეტაფორების შემადგენელში.

